ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 59

15 ივლისი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

14:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

ზაზა მამალაძე

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

სოფიკო გამცემლიძე

იგორ სვიმონიშვილი

ანა დეკანოსიძე

ილია კვატაშიძე

ალექსანდრე ბრაგვაძე

ირაკლი იმნაძე

ნოდარ გაბელაია

არტურ გევორქოვი

ფიცხელაური თამარი

ფიცხელაური დათო

მურღულია ნიკოლოზი

მიხეილ ამაშუკელმა დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, რობერტ ბარძიმაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის კინორეჟისორის სიკო დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის ახმეთ მელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, დავით აღმაშენებლის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის დავით აღმაშენებლის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბათუ კრავეიშვილის ქუჩისთვის ნიაღვრის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ევგენი მიქელაძისა და სანდრო ახმეტელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის ბათუ კრავეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზისთვის ფოლკლორისტისა და ლოტბარის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩის III ჩიხისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენის კოსტა მაისურაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვარკეთილის დასახლება IV მიკრო რაიონი, კვარტალი III-ისთვის ვაზისუბნის IV მიკრო რაიონი კვარტალი III-ის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვაზისუბნის IV მიკრო რაიონის I კვარტალში მდებარე რაგბის სათამაშო მოედნისთვის სპორტსმენის, აფხაზრთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ სულაქველიძის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩათან არსებული უსახელო ჩიხისთვის თამარ მეფის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
11. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გივი კვიჭიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის საბავშვო მწერლის კუკური გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის #143 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
12. „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, თეთრი ტბის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის თეიმურაზ ბატონიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #235 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
13. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის დასახლებაში ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სამხედრო ექიმის, გენერლის დავით მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მეგობრის I შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის ვახტანგ მალაყმაძის სახელის მინიჭების შესახებ

მიხეილ ამაშუკელმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების პროცედურების შესახებ ისაუბრა და განმარტა, რომ დღევანდელი დღის წესრიგით წარმოდგენილი კომისიის მიერ ინიცირებული საკითხები საჯარო განხილვისთვის ოცი დღის განმავლობაში ატვირთული იყო საკრებულოს ვებ გვერდზე. სწორედ დღეს მოხდება ამ საკითხების კიდევ ერთხელ განხილვა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელის უახლოეს საკრებულოს ბიუროს და შემდგომ საკრებულოს სხდომაზე უნდა იქნას მიღებული.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. და სხდომის მიმდენარეობის პროცესში აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდა.

მიხეილ ამაშუკელმა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა.

1. **ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, რობერტ ბარძიმაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის კინორეჟისორის სიკო დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის გიორგი ჩხეიძის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის გიორგი გეგეჭკორის და საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტის დავით ოქიტაშვილის წერილი. მიხეილ ამაშუკელმა ისაუბრა სიკო დოლიძის მოღვაწეობის შესახებ. ის იყო კინორეჟისორი, სცენარისტი და კინოდრამატურგი, ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გადაღებული აქვს მხატვრული ფილმები: „ზვავთა მხარეში“ , „უკანასკნელი ჯვაროსნები“, „დარიკო“, „მეგობრობა“, „ჯურღაის ფარი“, „ჭრიჭინა“, „ეთერის სიმღერა“, „ფატიმა“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „პალიასტომი“, „ქალაქი ადრე იღვიძებს“. თბილისის საკრებულომ 2003 წელს ვაკის რაიონში, ბაგებში, სიკო დოლიძის სახელი მიანიჭა ერთ-ერთ უსახელო ქუჩას. ზემოაღნიშნული წერილის ავტორების მოთხოვნის თანახმად, კომისიამ შეხვედრა გამართა სიკო დოლიძის ოჯახთან, რის შემდეგაც შედგა შეთანხმება, რომ სიკო დოლიძის, როგორც ქართული კინოს ერთ-ერთი ფუძემდებლის ბიოგრაფიიდან და დამსახურებიდან გამომდინარე, დედაქალაქში გაჩნდეს მისი სახელობის კიდევ ერთი გეოგრაფიული ობიექტი.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: დიდუბის რაიონში, რობერტ ბარძიმაშვილის ქუჩასთან არსებულ სკვერს მიენიჭოს კინორეჟისორის სიკო დოლიძის სახელი.

2. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის საზოგადო მოღვაწის ახმეთ მელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ახმეთ მელაშვილის სახელის მინიჭებას. კომისიაში ასევე შემოსულია კომპანია შპს „დაბის" წარმომადგენლის ანა დოლიძის წერილი, რომლითაც ითხოვს კომპანიამდე მისასვლელი გზის დამისამართებას. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული ტერიტორია, ასევე შეისწავლა ახმეთ მელაშვილის ბიოგრაფია. მისი ღვაწლი თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შორის ფასდაუდებელია ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში. მისი მეშვეობით დაიწყო თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ეთნიკურ-კულტურული საგანმანათლებლო მოძრაობა. იმდენად დიდი იყო ახმეთ მელაშვილის ღვაწლი მას თურქეთის ქართველების ილია ჭავჭავაძესაც უწოდებდნენ. იგი იყო პუბლიცისტი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მან თურქულ ენაზე გამოსცა წიგნი „საქართველო", რომელშიც ასახულია საქართველოს რეალური ისტორია, ცნობები ქართული ლიტერატურის და კულტურის შესახებ. მანვე მოამზადა ჟურნალი „ჩვენებურები", რომელიც მის სიცოცხლეშივე გამოიცა.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მომხრე - ხუთი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ახმეთ მელაშვილის სახელი.

3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, დავით აღმაშენებლის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის დავით აღმაშენებლის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცნო მოქალაქე სოფიკო გამცემლიძის განცხადება. რომლითაც ითხოვს ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, დავით აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ დამისამართებას. ტერიტორიის ადგილზე შესწავლის შემდეგ კომისიამ დადგინა , რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, დავით აღმაშენებლის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ქუჩის უსახელო შესახვევს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი.

აზრი გამოთქვა : მოქალაქე სოფიკო გამცემლიძე ესწრებოდა სხდომას, მან მადლობა გადაუხადა კომისისას აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, დავით აღმაშენებლის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს დავით აღმაშენებლის I შესახვევის სახელი.

4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბათუ კრავეიშვილის ქუჩისთვის ნიაღვრის სახელის მინიჭების შესახებ

5. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ევგენი მიქელაძისა და სანდრო ახმეტელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის ბათუ კრავეიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა ისაუბრა დედაქალაქში ქუჩების ტოპონიმური, ძველი სახელწოდებების აღდგენა-შენარჩუნების მნიშვნელობაზე. მან კომისიის წევრებს გააცნო ბათუ კრავეიშვილის (ყოფილი ნიაღვრის) ქუჩის მაცხოვრებლების ერთობლივი განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა 55 მოქალაქე. ისინი ითხოვენ ბათუ კრავეიშვილის ქუჩისთვის ნიაღვრის ქუჩის სახელის დაბრუნებას. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. გაითვალისწინა ზემოაღნიშნული ქუჩის მაცხოვრებლების მოთხოვნა (ბათუ კრავეიშვილის ქუჩისთვის ნიაღვრის ქუჩის სახელის დაბრუნებასთან დაკავშირებით). კომისიამ ასევე იმსჯელა ბათუ კრავეიშვილის ღვაწლსა და დამსახურებაზე და სახელდებისთვის შეარჩია უსახელო ქუჩა, რომელიც მდებარეობს ევგენი მიქელაძისა და სანდრო ახმეტელის ქუჩების მიმდებარედ, თემატურად საინტერესოა იმიტომაც, რომ აღნიშნული ქუჩები მდებარეობს კინოსტუდიის მიმდებარე ტერიტორიაზე.

აზრი გამოთქვეს: სხდომას ესწრებოდნენ ნიაღვრის ქუჩის მაცხოვრებლები იგორ(ბუბა) სვიმონიშვილი, ანა დეკანოსიძე, ილია კვატაშიძე. ანა დეკანოსიძემ აღნიშნა, რომ ნიაღვრის ქუჩის სახელწოდება არის ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, მან ქუჩის მაცხვრებლების სახელით მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს მათი მოსაზრების გათვალისწინებისთვის.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხებს კენჭისყრით მხარი დაუჭირეს.

მომხრე -ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ბათუ კრავეიშვილის ქუჩას მიენიჭოს ნიაღვრის სახელი, ხოლო დიდუბის რაიონში, ევგენი მექელაძისა და სანდრო ახმეტელის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მომღერლის ბათუ კრავეიშვილის სახელი.

6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზისთვის ფოლკლორისტისა და ლოტბარის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ კომისიაში შემოსულია საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „რუსთავი"-ის ინიციატივა, გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზისთვის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. მიხეილ ამაშუკელმა ისაუბრა ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლზე ქართული კულტურის წინაშე. 1968 წლიდან იყო ვოკალურ ანსამბლ „რუსთავის" ხელმძღვანელი. 2009 წლიდან იყო ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი. 2014 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. ანსამბლი „რუსთავი" ანზორ ერქომაიშვილის სახელის უკვდავსაყოფად გამოთქვამს სურვილს, რომ ზემოაღნიშნულ საკონცერტო დარბაზს მიენიჭოს მისი სახელი.

კომისიის წევრებმა მოისმინეს აღნიშნული საკითხი, კომისიის თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ხსენებული საკითხის საკრებულოს წინაშე ინიციატივად დარეგისტრირებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, გია ყანჩელის სახელობის არტოს ბაღში მდებარე საკონცერტო დარბაზს მიენიჭოს ფოლკლორისტისა და ლოტბარის ანზორ ერქომაიშვილის სახელი.

7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩის III ჩიხისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენის კოსტა მაისურაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის კოსტა მაისურაძის სახელის მინიჭების შესახებ იმსჯელეს. კომისიაში შემოსულია საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის თამაზ გეგეშიძის წერილი, რომლითაც ითხოვს შუა მინდვრის ქუჩის III ჩიხს მიენიჭოს სპორტსმენის კოსტა მაისურაძის სახელი. აღნიშნული ტერიტორიის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ქალაქგეგმარეგით შესაძლებელ;ოა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა. ასევე კოსტა მაისურაძის ბიოგრაფიის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ იგი იყო ფალავანი, მიღებული ჰქონდა ირანის, რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სამახსოვრო ჯილდოები და ქამრები. 1910 წელს პირველი ადგილი დაიკავა თბილისში გამართულ დიდ ტურნირში.

კომისიის წევრებმა გაითვალისწინეს ისიც, რომ კოსტა მაისურაძე ცხოვრობდა აღნიშნულ ტერიტორიაზე, ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნიათ ზემოაღნიშნული სახელდება.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩის III ჩიხს და მასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს სპორტსმენის კოსტა მაისურაძის ქუჩის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვარკეთილის დასახლება IV მიკრო რაიონი, კვარტალი III-ისთვის ვაზისუბნის IV მიკრო რაიონი კვარტალი III-ის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ლევან დავითაშვილის შუამდგომლობითი წერილი, რომელიც გვიგზავნის მოქალაქე გიორგი შავერდაშვილის განცხადებას. იგი ითხოვს ვარკეთილის დასახლება IV მიკრო რაიონი კვარტალი III-ს დაერქვას ვაზისუბნის დასახლება IV მიკრო რაიონი კვარტალი III. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა რომ ზემოაღნიშნული უბანი მართლაც მდებარეობს ვაზისუბნის ტერიტორიაზე.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ვარკეთილის დასახლება IV მიკრო რაიონი კვარტალი III-ს მიენიჭოს ვაზისუბნის დასახლება IV მიკრო რაიონი კვარტალი III-ს სახელი.

9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვაზისუბნის IV მიკრო რაიონის I კვარტალში მდებარე რაგბის სათამაშო მოედნისთვის სპორტსმენის, აფხაზრთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ სულაქველიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცნო მოქალაქე ალექსანდრე ბრაგვაძის განცხადება, რომელიც ითხოვს ვაზისუბნის IV მიკრო რაიონის I კვარტალში მდებარე რაგბის სათამაშო მოედანს მიენიჭოს სპორტსმენის, აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ სულაქველიძის სახელი. კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. მიუხედავად იმისა, რომ სტადიონის მიმდებარე ქუჩა ატარებს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ სულაქველიძის სახელს, რაგბის დამკვიდრებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის ემზარ სულაქველიძის, როგორც სპორტსმენის სახელის უკვდავსაყოფად კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია რაგბის სათამაშო მოედანს მიენიჭოს მისი სახელი.

აზრი გამოთქვეს: სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები ალექსანდრე ბრაგვაძე და ირაკლი იმნაძე. მათ მადლობა გადაუხადეს კომისიას ემზარ სულაქველიძის ღვაწლის დაფასებისთვის.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ვაზისუბნის IV მიკრო რაიონის I კვარტალში მდებარე რაგბის სათამაშო მოედანს მიენიჭოს სპორტსმენის, აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ემზარ სულაქველიძის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩათან არსებული უსახელო ჩიხისთვის თამარ მეფის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის წევრებმა განიხილეს კომისიაში შემოსული ტაბახმელის მაცხოვრებელთა ერთობლივი განცხადება, რომლითაც ითხოვენ თამარ მეფის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს თამარ მეფის ჩიხის სახელი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს თამარ მეფის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის I ჩიხს.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს თამარ მეფის I ჩიხის სახელი.

11. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გივი კვიჭიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის საბავშვო მწერლის კუკური გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის #143 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის ვიქტორ წილოსანის წერილი, განსახილველად გვიგზავნის მოქალაქე სერგო გალუსტიანის განცხადებას, რომლითაც ითხოვს კუკური გოგიაშვილის ქუჩის I შესახვევის მონაკვეთის გავრცელების არეალის კორექციას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კომუნიკაციის შემდეგ დადგინდა რომ შესაძლებელია შეიცვალოს ზემოაღნიშნული ტერიტორიის გავრცელების არეალი. იცვლება რუკა. კორექტირდება შესახვევის დასაწყისის მონაკვეთი.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გივი კვიჭიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის საბავშვო მწერლის კუკური გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის #143 განკარგულებაში

შევიდეს ცვლილება და საბურთალოს რაიონში, კუკური გოგიაშვილის ქუჩის I შესახვევის მონაკვეთის გავრცელების არეალი შეიცვალოს დანართის (რუკის) შესაბამისად.

12. „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, თეთრი ტბის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის თეიმურაზ ბატონიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #235 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით მ/წლის 20 აპრილს კომისიაში შემოსულია თეიმურაზ ბატონიშვილის ქუჩის მაცხოვრებლების ერთობლივი #19/03211106-03 განცხადება, რომლითაც ითხოვენ თეიმურაზ ბატონიშვილის ქუჩის მონაკვეთის გავრცელების არეალის კორექციას. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ შესაძლებელია ზემოაღნიშნული ტერიტორიის გავრცელების არეალის კორექტირება.

აზრი გამოთქვეს: სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესული მოაქალაქეები ნოდარ გაბელაია და არტურ გევორქოვი. მათ ისაუბრეს აღნიშნული პრობლემის შესახებ და მადლობა გადაუხადეს კომისიას მათი საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, თეთრი ტბის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის თეიმურაზ ბატონიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #235 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და გლდანის რაიონში, თეიმურაზ ბატონიშვილის ქუჩის მონაკვეთის გავრცელების არეალი შეიცვალოს დანართის (რუკის) შესაბამისად.

13. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის დასახლებაში ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სამხედრო ექიმის, გენერლის დავით მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოსიმინეს: მიხეილ ამაშუკელმა ისაუბრა დავით მგელაძის ქუჩის სახელდების შესახებ. მან კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის 26 ოქტომბერს კომისიაში შემოსული მოქალაქეთა ერთობლივი განცხადება, რომლითაც ითხოვენ თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს გენერლის დავით მგელაძის სახელი.

კომისიამ შეისწავლა დავით მგელაძის ბიოგრაფია. იგი იყო სამხედრო ექიმი, გენერალი,რუსეთ-იაპონიის და პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს სამხედრო-სანიტარული განყოფილების უფროსი. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა საზოგადოება „ვაკეს“. მის სახელთანაა დაკავშირებული ვაკის რაიონის განაშენიანება. დასაფასებელია მისი ღვაწლი დედაქალაქის კეთილმოწყობაში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში.

აზრი გამოთქვეს: სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესული მოქალაქეები თამარ ფიცხელაური, დათო ფიცხელაური და ნიკოლოზ მურღულია. მათ ისაუბრეს დავით მგელაძის დამსახურების შესახებ და მადლობა გადაუხადეს კომისისას მხარდაჭერისთვის.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბნის დასახლებაში ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს სამხედრო ექიმის, გენერლის დავით მგელაძის სახელი.

14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მეგობრის I შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის ვახტანგ მალაყმაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელმა ისაუბრა აღნიშნული საკითხის შესახებ. კომისიაში შემოსულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერლური დირექტორის გიორგი კეკელიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ვახტანგ მალაყმაძის სახელი.

ვახტანგ მალაყმაძე თურქეთის რესპუბლიკაში მაცხოვრებელ ქართველთა შორის გამორჩეული მოღვაწე გახლდათ. იგი იყო დიდი ქართველის, ახმეთ მელაშვილის მეგობარი, თანამებრძოლი და მისი ეროვნულ-კულტურული გზის გამგრძელებელი. მეგობრობდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან. ახმეთ მელაშვილის თაოსნობით გამოცემულ წიგნში „საქართველო“ დაბეჭდილია ვახტანგ მალაყმაძის თარგმანი იაკობ გოგებაშვილის მოთხრობისა „იავნანამ რა ჰქმნა.“ მანვე თარგმნა და ორ ტომად გამოსცა „ქართული საბავშვო ზღაპრები“, ასევე ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას შრომების მიხედვით მომზადებული საქართველოს ისტორია. ვახტანგ მალაყმაძეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოსთან. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

საკითხის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მეგობრობის I შესახვევთან მდებარეობს უსახელო ქუჩა და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მათი გაერთიანება ერთ დამოუკიდებელ ქუჩად.

მიხეილ ამაშუკელმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთოთხმეტე საკითხი.

მომხრე - ხუთი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მეგობრობის I შესახვევს და მასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ვახტანგ მალაყმაძის სახელი

მიხეილ ამაშუკელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი